სოციალური საწარმოს ბიზნეს-გეგმა

საწარმოს დასახელება:	
ავტორის სახელი გვარი:	
წარდგენის თარიღი:	

ბიზნეს გეგმის შემუშავების დროს შესაბამისი ინფორმაცია გადმოიტანეთ ბიზნეს მოდელის დოკუმენტიდან და, საჭიროების მიხედვით განავრცეთ და/ან მოახდინეთ მისი მოდიფიცირება.

1. შესავალი	
1.1 სოციალური საწარმოს არსი, მისი ინოვაციურობა და გავლენა ბენეფიციარებზე	სოციალური საწარმოს არსი, მისი ინოვაციურობა და გავლენა ბენეფიციარზე. ტექსტის მოცულობა არა უმეტეს 100 სიტყვისა.
2. სოციალური საწარმოს პოზიცია ბაზარზე	
2.1 სამიზნე მომხმარებელი და/ან ბენეფიციარი	სექცია წარმოადგენს სამიზნე ბაზრის თუ სეგმენტის თვისებრივ დახასიათებას, სადაც ნაჩვენები უნდა იქნას ვინ არის სოციალური საწარმოს პროდუქციის და /ან მომსახურების მომხმარებელი. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია სამომხმარებლო საჭიროებათა სტრუქტურა და მოთხოვნილებები, რომლებიც ამოძრავებს მომხმარებელს, მეორე მხრივ, მისი აღწერა გეოგრაფიული (საცხოვრებელი ადგილი, დასახლების თავისებურებანი), დემოგრაფიული (ასაკი, სქესი, ოჯახის შემადგენლობა, განათლება, საქმიანობა, შემოსავალი) და ფსიქო-გრაფიული (ცხოვრების წესი, მისწრაფებები) მახასიათებლების მეშვეობით. **ასევე, ამ სექციაში უნდა იქნას მოცემული სამიზნე მომხმარებლების /ბენეფიციარების პროგნოზული რაოდენობა 1 წლისათვის.** ტექსტის მოცულობა არა უმეტეს 200 სიტყვისა.
2.2 შეთავაზებული პროდუქტი	ამ სექციაში უნდა იქნას აღწერილი რა სახის პროდუქტის (ფიზიკური საქონელი, მომსახურება ან მათი კომბინაცია) წარმოება და რეალიზაცია იგეგმება სოციალური საწარმოს მიერ. უნდა იქნას ნაჩვენები პროდუქტის ძირითადი მახასიათებლები. ფიზიკური საქონლის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ფუნქციური პარამეტრები. მომსახურების შემთხვევაში წმინდა ფუნქციურ მახასიათებლებთან და მომსახურების პირობებთან ერთად, მნიშვნელოვანია წინა ხაზის პერსონალი, ადგილმდებარეობა და ხელმისაწვდომობა. თუ სასაქონლო ასორტიმენტი ფართოა, სასურველია შემოთავაზებულ იქნას პროდუქტის კლასიფიკაცია. ტექსტის მოცულობა არა უმეტეს 200 სიტყვისა.
2.3 პროდუქტის საფასური და ანგარიშსწორების მოდელი	შესაბამის მონაცემებზე დაყრდნობით მოცემულ უნდა იქნას სარეალიზაციო პროდუქტის ფასის პროგნოზი. ამგვარ მონაცემებს მიეკუთვნება წინარე გამოცდილება, მსგავსი პროდუქტის ფასი თუ სხვა. ფართო სასაქონლო ასორტიმენტის შემთხვევაში, უნდა მიეთითოს სასაქონლო კატეგორიაში გაერთიანებული ერთეულების საშუალო ფასი, მისი მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა. ასევე, ამ სექციაში უნდა იქნას აღწერილი ანგარიშსწორების მოდელი (გადახდა მომხმარებლის ჯიბიდან, სუბსიდია, საფასურის ანაზღაურება მესამე მხარის მიერ თუ სხვა). ტექსტის მოცულობა არა უმეტეს 200 სიტყვისა.

3. მარკეტინგული მხარდაჭერა	
3.1 მარკეტინგული კომუნიკაციის ღონისძიებები	ამ სექციაში ნაჩვენები უნდა იქნას მარკეტინგული კომუნიკაციის ამოცანები პროდუქტის ცნობადობის, პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირების და გაყიდვის ტერმინებში (კავშირშია 2.1 და 2.3). ნაჩვენები უნდა იქნას კომუნიკაციის პირდაპირი და არა-პირდაპირი გზები, რომლებსაც მიმართავს სოციალური საწარმო და ურთიერთკავშირი მათ შორის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მარკეტინგული კომუნიკაციის გზების შესაბამისობას როგორც მომხმარებლის თავისებურებებთან ასე საწარმოს შესაძლებლობებთან და ეგრეთწოდებულ „არატრადიციულ (unconventional)“ მარკეტინგულ ღონისძიებებს. კომუნიკაციის ღონისძიებების აღწერისას მეწარმე უნდა იყოს შეძლებისდაგვარად სპეციფიკური (სხვადასხვა საშუალების გამოყენების მოცულობა, ხანგრძლივობა, სიხშირე). ტექსტის მოცულობა არა უმეტეს 200 სიტყვისა.
3.2 პროდუქტის მიწოდება (მხოლოდ ფიზიკური საქონლისათვის)	ფიზიკური საქონლის შემთხვევაში დახასიათებულ უნდა იქნას დისტრიბუციის არხები, რომლითაც პროდუქცია წარმოების ადგილიდან აღწევს საბოლოო მომხმარებლამდე. ნაჩვენები უნდა იქნას საწარმოს ადგილი დისტრიბუციის სისტემაში და ძირითადი კავშირები. სასაქონლო ნაკადის გზები სასურველია გამოხატულ იქნას სქემატურად. სქემაზე მითითებულ უნდა იქნას პროდუქციის რა მოცულობის რეალიზაცია ხდება ყოველი ცალკეული არხის გავლით. განსაკუთრებით საინტერესოა სხვადასხვა სახის დიგიტალური გადაწყვეტილებებისა და არსებული სატრანსპორტო-ლოგისტიკური საშუალებების კომბინაცია. ტექსტის მოცულობა არა უმეტეს 200 სიტყვისა.
4. საოპერაციო საქმიანობა და მისი ორგანიზაცია	
4.1 საოპერაციო პროცესის აღწერა	ამ სექციაში დეტალურად უნდა აღიწეროს საოპერაციო პროცესის ნაბიჯები მათ ურთიერთკავშირში ერთი მეორესთან და დახასიათებულ იქნას შესაბამისი ტექნოლოგიური ასპექტები თუ მეთოდოლოგიური მოთხოვნები. თუ საოპერაციო საქმიანობა მიეკუთვნება რეგულირებად სფეროს აუცილებელია შესაბამისი ნებართვების და მოთხოვნების აღწერა. ტექსტის მოცულობა არა უმეტეს 300 სიტყვისა.
4.2 საოპერაციო პროცესის უზრუნველყოფა	ამ სექციაში დეტალურად უნდა იქნას აღწერილი მიწა და შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ძირითადი იარაღები და აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალი (კვალიფიკაცია) თუ სხვა რესურსი, რომელიც მონაწილეობს საოპერაციო პროცესში. ძალზედ მნიშვნელოვანია ინფორმაცია მატერიალური რესურსების მომწოდებელზე და მომარაგების პროცესზე. ტექსტის მოცულობა არა უმეტეს 150 სიტყვისა.
4.3 საოპერაციო რისკის მართვა, ზემოქმედება ადამიანსა და გარემოზე	ამ სექციაში ჩამოთვლილ უნდა იქნას საოპერაციო სისტემასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები, მოცემულ უნდა იქნას მათი სიმძიმის შეფასება ტერმინებში ხდომილების ალბათობა - ზარალი, აღიწეროს შემარბილებელი ღონისძიებები და ღონისძიებები, რომელიც გატარდება მათი ხდომილების შემთხვევაში. ამ სექციაში ჩამოთვლილ უნდა იქნას პოტენციური საფრთხე, რომელიც შეიძლება მიადგეს ადამიანებს და სოციალური საწარმოს საქმიანობის ზემოქმედება გარემოზე. აღწერილ უნდა იქნას უსაფრთხოების ღონისძიებები და ღონისძიებები მიმართული გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებაზე. ტექსტის მოცულობა არა უმეტეს 200 სიტყვისა.

5. ფინანსური მართვა	
5.1 ფულადი სახსრების მოძრაობის გამარტივებული ბიუჯეტი („პრო-ფორმა“)	MS Excel -ის საბუთის სახით წარმოადგინეთ ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტი 1 წლისათვის საწარმოო ოპერაციების დაწყების თარიღიდან.
6. მოსამზადებელი სამუშაოებისა და შესყიდვების გეგმა	
6.1 მოსამზადებელი სამუშაოებისა და შესყიდვების გეგმა	ამ სექციაში დეტალურად უნდა იქნას აღწერილი ყველა ის ღონისძიება, რომელიც წინ უძღვის და ემსახურება საწარმოს ამოქმედებას, იქნება ეს შესაბამისი აქტივების შესყიდვა, მათი ტრანსპორტირება და ინსტალაცია, პროგრამული უზრუნველყოფა, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, ნებართვების მოპოვება თუ სხვა. მნიშვნელოვანია წარმოადგინოთ აღნიშნულ ღონისძიებათა დანაწევრების მკაფიო სტრუქტურა (მაგალითად, საქმიანობა 1, ქვე-საქმიანობა 1.1, ქვე-საქმიანობა 2.1, ქვე-საქმიანობა ..., საქმიანობა 2, ქვე-საქმიანობა 2.1, ...). ყოველი ღონისძიებისათვის უნდა იყოს განსაზღვრული დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირი. ტექსტის მოცულობა არა უმეტეს 400 სიტყვისა.
7. საინვესტიციო ბიუჯეტი	
7.1 საინვესტიციო ბიუჯეტი	MS Excel -ის საბუთის სახით წარმოადგინეთ ყველა იმ რესურსის აღწერა, რომელიც ესაჭიროება თქვენი საწარმოს ამოქმედებას, მათი საზომი ერთეული, რაოდენობა და ფასი. საინვესტიციო ბიუჯეტში სასურველია ნაჩვენები იქნას დონორისაგან მოთხოვილი სახსრები, თქვენი ფულადი და არა-ფულადი კონტრიბუცია. საინვესტიციო ბიუჯეტის შედგენისათვის აუცილებელია საწარმოს მოძიებული ჰყავდეს მომწოდებელი, გარკვეული ქონდეს შესყიდვის პირობები. შესაბამისი დოკუმენტაცია სასურველია წარმოდგენილ იქნას დანართის სახით.